ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 45-Ე ᲬᲚᲘ. | № 15 (13136) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1965 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲒᲐᲜᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲗᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘ. ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ. ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ. ᲡᲐᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 1.155.716 ᲬᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ 13.131 ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲜᲔᲚᲘ. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲐ 1.320 ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲗᲐᲗᲝᲑᲘᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ 16 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲚᲛᲐ 12 ᲐᲗᲐᲡᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲦᲝᲡ.

ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲛᲗᲐᲠᲘ ᲣᲛᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲐᲤᲠᲝᲕᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲫᲕᲠᲘᲤᲐᲡ ᲗᲐᲝᲜᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲜᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲐᲜ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲒᲠᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ 38 ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲗᲐᲝᲜᲝᲑᲐᲛ ᲤᲝᲚᲓᲗᲣᲚᲡᲚᲘᲡᲛᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲠᲗᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲮᲡᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲰᲙᲝᲜᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ ᲛᲙᲕᲘᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲒᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲗᲐ ᲗᲐᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲗᲐᲝᲜᲝᲑᲐᲛ ᲤᲝᲚᲓᲗᲣᲚᲡᲚᲘᲡᲛᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲐᲠᲗᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲮᲡᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲰᲙᲝᲜᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ ᲛᲙᲕᲘᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲒᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲗᲐ ᲗᲐᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲓᲐᲛᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ

პარტიული ცხოვრება

პარტიული აქტივის სკოლა

წარმოების გულში

ამჭროს პარტიული ბიუროო სათანადოდ არ „ეხმარებიან“ და ნაკლებ კონტროლს უწევენ აგიტატორთა მუშაობას. სემინარები ჯერ კიდევ დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა. ნაკლებად ვზრუნავთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ახალი ფორმების გამონახვისა და დანერგვისათვის.

ჩვენს დროში უსწავლელი კაცი შორს ვერ წავა. ამიტომ პარტიული ჯგუფი ყოველდღიურად ზრუნავს იმისათვის, რომ მუშები სისტემატურად სწავლობდნენ, ზოგად და ტექნიკურ ცოდნას ეუფლებოდნენ. პირადად მე მუშაობლაგზრდობის საღამოს სკოლაში ვსწავლობ. სწავლობს ბევრი ჩემი ამხანაგიც. პარტიული ჯგუფის უშუალო ჩარევით შარშან უმაღლეს სასწავლებელში შევიდა მსმენელი უ. გოგიჩაშვილი. ასევე ჩვენი რჩევითა და დარიგებით მეტალურგიულ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა კონტროლიორმა ზ. ნებიერიძემ. ასეთი მაგალითი ბევრია.

მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ზოგიერთ საკითხზე.

ჩვენთან დამკვიდრდა პარტიული ორგანიზაციების მდივანთა სემინარების მოწყობის პრაქტიკა. ეს მისასალმებელია, მაგრამ კარგი იქნება, თუ სემინარები მოეწყობა ჩვენთვისაც— პარტიული ჯგუფების ორგანიზატორებისათვის. ქარხანაში მრავალი გამოცდილი პარტჯგუფორგანიზატორია. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ შევისწავლოთ და სხვა პარტჯგუფორგანიზატორთა კუთვნილებად ვაქციოთ მათი მუშაობის გამოცდილება.

ხაჭიროა საამქროს პარტბიურომ და ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა უკეთ მოგვამზადონ პარტიული ლიტერატურით.

ვ. აგდალაძე,
რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პირველი ღუმელის მესამე ბრიგადის პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი.

ვეხმაურებით წერილს: „ჩვენი პარტიული ჯგუფის ძალა“

გულგრილი ვერ დავრჩებოდით აგრეთვე უპარტიო მეფოლადის გ. სეფისკვერაძის მუშაობის გამოცდილებისადმი. მას ისე აქვს მოწყობილი ღუმელის გაწყობის საქმე, რომ ამ პროცესის შესრულებისას როგორც დროის, ისე ჩასაწყობი მასალების დიდ ეკონომიას აღწევს. ეს მეთოდიც ფართოდ დავნერგეთ წარმოებაში.

მეფოლადის საქმიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ღუმელის ხანგრძლივი მდგრადობა. ამ მხრივ ყველაზე კარგი მაჩვენებელი აქვს კომუნისტ მეფოლადეს გ. ბერეკაშვილს. იგი ახერხებს 500-მდე აიუვანოს დნობის რიცხვი ცივი დნობიდან ცივ დნობამდე. ეს სარეკორდო ციფრია. ახლა პარტიული ჯგუფი სწავლობს გ. ბერეკაშვილის მუშაობის გამოცდილებას, და მალე მას მთელ საამქროში დავნერგავთ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, პარტიული ჯგუფი მარტო საწარმოო საქმეებით როდია შემოფარგლული. მოვიყვან ორიოდე ფაქტს. ამას წინათ კომუნისტებმა ლ. მაჩაიძემ და ჩ. მამედოვმა შეუფერებელი საქციელი ჩაიდინეს: ოჯახები მიატოვეს. პარტიულმა ჯგუფმა თავის სხდომაზე ამსჯელა ამ კომუნისტთა შესახებ, შემდეგ საკითხი საამქროს პარტიული ბიუროს წინაშე დააყენა. მივაღწიეთ იმას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე დაუბრუნდა ოჯახებს. ახლა ისინი ნორმალურ ცხოვრებას ეწევიან და წარმოებაშიც მოწინავენი არიან.

პარტიული ჯგუფის მოღვაწეობის სერიოზული უბანია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. მაგრამ აქვე მინდა შევნიშნო, რომ ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ჩემი აზრით, ქარხნის პარტიული კომიტეტი და საპარტიულ კრებებზე იმსჯელეს იმ კომუნისტ მშობელთა შესახებ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთი შვილების აღზრდას.

ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხზე იმსჯელეს აგრეთვე ლითოფონის ქარხნის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და სხვა საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

კრება მსჯელობს კომუნისტ მეოფლეებზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ არასრულწლოვანთა შორის მუშაობას.

როგორ სწავლობენ და იზრდებიან ჩვენი ბავშვები? — ასეთია დღის წესრიგი საწარმოებში გამართული პარტიული კრებებისა, რომლებზეც მუშა-მოსამსახურე მშობლებს იწვევენ.

მარტო აბრეშუმის კომბინატის ფეიქართა ხუთასზე მეტი ბავშვი სწავლობს ქალაქის სხვადასხვა სკოლებში. კომბინატის საამქროთა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეამოწმეს მათი აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის მდგომარეობა, შემდეგ კი ღია

პროპაგანდისტთა სემინარი

პარტიის თერჯოლის რაიკომმა ამ დღეებში გამართა პროპაგანდისტთა სემინარი. მოსმენილ იქნა მოხსენებები: „მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებათა შესახებ“, „სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი გავლენა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაზე“.

პროპაგანდისტებს მიეცათ აგრეთვე პრაქტიკული რჩევა პოლიტიკური სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ვ. კუტალაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

რეზერვები ფყვეოგაში

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო წალენჯიხის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ნაკლოვანებანი მეცხოველეობის დარგში.

წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. კვპარაცხელია გვატყობინებს, რომ პარტიის რაიკომის ბიუროომ სპეციალურად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რაც გამოიხატება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირებით და პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისადმი ზერელე დამოკიდებულებით, სოფელ ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. გუჩუას და ნაკიფუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ლუკავას გამოეცხადათ საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარეს ვ. კვარაცხელიას ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის შენობის აგების გაჭიანურებისათვის გამოეცხადა საყვედური.

დაგა კეთილმოუწყოგელია, თანხეგი აუთვისეგელი

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში წერილში მხილებული იყო დაბა კეთილმოუწყობლობის ფაქტები. დაკავშირებით ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს:

კრიტიკული წერილის გამო თავის სხდომაზე იმსჯელა რაისაბჭოს აღმასკომმა, დაბის კეთილმოწყობისათვის და საბინაო ფონდის, საცხოვრებელი ბინების შეკეთებისათვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის გამო ახალციხის სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსს ს. ზასხარეულს გამოეცხადა საყვედური. აღმასკომმა საქკოოპმშენის ახალციხის სამშენებლო კანტორის უფროსს ლ. ფალავანდიშვილს, ახალციხის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და რაისაბჭოს აღმასკომის კინოგანყოფილებას დაავალა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

,,ეროვნული“ ფოსტალიონი

ეროვნული თვითღირებულების შემცირების დავალების წარმატებით შესრულება მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სწორად დაგეგმვასთან.

პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის გაუმჯობესებისა და გეგმების დასაბუთებულობის ამაღლების მიზნით, თვითღირებულების დაგეგმვის წესში 1963 წლიდან შეტანილ იქნა ზოგი ცვლილება. მათი გათვალისწინებით თვითღირებულება უნდა იგეგმებოდეს საერთო სასაქონლო პროდუქციის და მასში შესაბამისი სასაქონლო პროდუქციის დიფერენცირებული მაჩვენებლებით, საწარმოების და სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ასეთი ღონისძიება დროული და კარგი იყო, მაგრამ პრაქტიკულად მთლიანად ჯერაც არ განხორციელებულა. საწარმოთა ანგარიშგებაში ყოველთვის როდია ასახული შესაბამი პროდუქციის მაჩვენებელი, ხოლო სადაც ასახავენ, მის რეალობას სათანადოდ არ ამოწმებენ. ამასთან ეს წესი მთლიანადაც რომ განხორციელდეს, მაინც ძნელი იქნება გეგმის შესრულების ყველა დეტალის გარკვევა, რადგან ამ წესით გათვალისწინებული არ არის არაშესაბამი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ცალკე დაგეგმვა.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მსუბუქ და კვების მრეწველობაში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა დარგში, სადაც შესაბამი პროდუქციის წილი საერთო სასაქონლო პროდუქციაში 95-98 პროცენტს აღწევს, საჭირო არ არის არაშესაბამი პროდუქციის თვითღირებულების ცალკე გამოყოფა. რაც შეეხება მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებს, სადაც გამოშვებული პროდუქციის ფართო ასორტიმენტთან გვაქვს საქმე, ხოლო არაშესაბამი პროდუქციის მოცულობა საშუალოდ 20-30 პროცენტს აღწევს, არაშესაბამი პროდუქციის მოცულობაში აღრიცხული სამრეწველო ნასაათის სამუშაოები და მომსახურებაც შედის. არაშესაბამი პროდუქციის წარმოება ხშირად დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, მაშასადამე, დასახელებულ დარგებში ასეთი პროდუქციის თვითღირებულების ცალკე დაგეგმვის საჭიროება ეჭვს არ იწვევს.

მაგალითად, 1963 წელს ქარხანა „აკატში“ ყოველ 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის დაგეგმილი იყო 62,4 კაპიკი ხარჯი, ფაქტიურად კი დახარჯულ იქნა 67,4 კაპ., ე. ი. ქარხანამ ყოველ 1 მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე გეგმასთან შედარებით დაუშვა 5 კაპიკის გადახარჯვა. არსებითად კი ყოველ 1 მანეთის შესაბამი სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე ქარხანამ დახარჯა მხოლოდ 61,6 კაპ. მაგრამ ამავე დროს ყოველ 1 მანეთის არაშესაბამი სასაქონლო პროდუქციის საწარმოებლად მას დაეხარჯა 1 მან. 09 კაპ. და ამან სასაქონლო პროდუქცია ამდენად გააძვირა, რომ დანახარჯები 61,6 კაპიკიდან 67,4 კაპიკამდე გაიზარდა.

ასეთივე სურათი გვქონდა 1964. წლის პირველ ნახევარში და გვაქვს ახლაც თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში, „ელექტროძრავაში“, „ელექტროგამშვებში“, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. მაგრამ ამ საწარმოებიდან წარმოდგენილ ანგარიშგების დოკუმენტებში ეს მდგომარეობა ასახული არ არის, რადგან შესაბამი და არაშესაბამი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება ცალცალკე არ იგეგმება.

თვითღირებულების ანგარიშგების ფორმებში გათვალისწინებულია შესაბამი პროდუქციის თვითღირებულების ასახვა საერთო სასაქონლო პროდუქციიდან გამოყოფილი. გამორიცხული არ არის შემთხვევა, როდესაც სამშენო და საერთოსაქარხნო (საფაბრიკო) ხარჯების ხელოვნურად შემცირებულ წილს მიაკუთვნებენ შესაბამი პროდუქციის თვითღირებულებას (ნანარჩენი იგულისხმება არაშესაბამი პროდუქციის მიმართ), რითაც მახინჯდება შესაბამი პროდუქციის თვითღირებულების ფაქტიური მოცულობა.

მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში არაშესაბამი პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებელი სანგარიშგებო უნდა გახდეს და მისი დაგეგმვა წარმოებდეს 1 მანეთზე დანახარჯების დონის დაწესებით. დაგეგმვის ასეთი დიფერენცირება შესაბამლობას მოგვცემს უფრო ობიექტურად შევაფასოთ საწარ[illegible] ეკონომიკა, ხოლო საწარმოთა ეკონომიკა, ხოლო ეკონომიკა, ანუ — 10,7 პროცენტს, ხოლო ქსოვილის ხარჯვაში — 0,09 კვადრატ. მეტრს, ანუ — 2,3 პროცენტს.

მაშასადამე, ეკონომია ქსოვილის ხარჯვაში უმნიშვნელოა და საწარმოსათვის ძველი ფასონის ნაწარმის წარმოება, თუმცა იგი სავაჭრო ქსელში ჩაწვები, უფრო რენტაბელურია. არარენტაბელურობის მიზეზი იყო აგრეთვე ნედლეულის და მასალის ჯგუფების შეცვლა: რაც უფრო დაბალია ქსოვილის ჯგუფი, მით უფრო იაფია იგი, ხოლო ფაბრიკის მიერ გამოყენებული ქსოვილი (20 პროცენტზე მეტი ლავსანის შემცველობისა) სიიაფესთან ერთად ძნელად დასამუშავებელია და მაღალი შრომატევადობითაც ხასიათდება.

ყოველივე ამის გამო ითლად სარეალიზაციო ახალი ნაწარმი ფაბრიკას სარეისკურანტო ფასზე მეტი უჯდება და ამიტომ მისთვის იგი არახელსაყრელია. ამრიგად, გამოდის, რომ ზოგჯერ საწარმოსა და მომხმარებელთა ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამ წინააღმდეგობის სალიკვიდაციოდ საჭიროა საგეგმო ორგანოების მოქნილობა. თუ საგეგმო ორგანოები თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის მიმართ თვითღირებულების შემცირებისა და მოგების გეგმებს შესაბამისად გადაიანგარიშებდნენ, ეს ჩნიაღმდეგობა გაქრებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა. ფაბრიკას გეგმა 1963 წლის მეორე ნახევარშიც შენარჩუნებული ჰქონდა პირველი ნახევრის დონის მიხედვით. ხოლო 1964 წლისათვის ფაბრიკისათვის დაწესებული გეგმის ბაზად გამოიყენეს წინა 1963 წლის საშუალო დონე, თუმცა ეს დონე სრულიადაც არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას. ასეთი შედეგი მისცა ამ ფაბრიკის კოლექტივს მოუქნელმა, არაოპერატიულმა დაგეგმვამ.

ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობაზე იყო საუბარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე: „აღარ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ პრაქტიკას, — აღინიშნა სესიაზე, — რომ საწარმოთა პროდუქცია არ საღდება, ისინი კი განაგრძობენ მის წარმოებას და ადვილად იღებენ სახსრებს თავიანთი ხარჯების დასაფარავად. ეს წესი შეიცვლება. საბითუმო ფასი ისეთი უნდა დაავწესოთ, რომ საწარმოებისათვის ხელსაყრელი იყოს აწარმოონ სახალხო მეურნეობისათვის საჭირო და ეკონომიურად ეფექტიანი პროდუქცია“.

ეფექტრობთ მიზანშეწონილი იქნება, თუ საწარმოებს ახალი პროდუქციის ათვისების პერიოდისთვის დაუწესებენ ისეთ ფასებს, რომლებიც დაფარავს საწარმოო ხარჯებს. უნდა დადაისინჯოს მოგების გეგმის განსაზღვრის მეთოდიც. ამით საწარმოებს საჭირო სტიმული მიეცემათ ახალი პროდუქციის ათვისებისათვის.

ამას წინათ ამ საკითხზე ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა მოსკოვის სამკერვალო მრეწველობის საწარმოო გაერთიანების „ბორშევიჩკას“ მთავარი ეკონომისტის მ. კუზნეცოვას სტატია. წერილის ავტორს წინადადება შემოაქვს, რომ მოგების შენარჩუნების მიზნით საწარმოებს უფლება მიეცეთ თავიანთი ნებით 3-5 მანეთით გაადიდონ პროდუქციის ფასი.

ჩვენი შეხედულებით ეს წინადადება ეწინააღმდეგება მომხმარებელთა ინტერესს. რა თქმა უნდა, საბითუმო ფასების გადასინჯვისათვის პირობები უკვე მომწიფებულია, მაგრამ ფასების თვითნებურად გადიდება გამოსავალი არ არის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მუდმივმოქმედი ფაქტორები—ტექნიკური აღჭურვილობის რეკონსტრუქცია და ძირითად და საბრუნავ საშუალებათა ეფექტიანობის ზრდა, მასალების და ნედლეულის ხარჯვაში პროგრესული ნორმების დაწესება, იაფი მასალებისა და უქსოვადი შემცველების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ა. შ. ამ ფაქტორების მიხედვით მუშაობის გაუმჯობესება — აი სად არის გამოსავალი.

მოქნილი დაგეგმვა და მგეგმავი ორგანოების მხრივ ოპერატიულობის უზრუნველყოფა — ეს გვჭირდება იმისათვის, რომ საწარმოთა კოლექტივებს გავუადვილოთ რენტაბელური მუშაობის რიტმის დაუფლება.

ა. გაბისონია,
ეკონომისტი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

სწორი დაგეგმვა — წარმატების საფუძველი

ეკონომიკის თემაზე

,,ეროვნული“ ფოსტალიონი

,,ეროვნული“ ფოსტალიონი

არის ასეთი სოფელი

ნარკვევი

საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა. მცხეთის რაიონში არის სოფელი ნიჩბისი, რომელიც ფერდობზე მართლაც ნიჩბისებრივ შეფენილა. სწორედ აქ, დიდფერდა ქედის ქვეშ, ნიჩბისს გალავანივით თავს რომ წამოსდგომია, მამაცურად უომია ერეკლეს შემოსეული მტრების წინააღმდეგ. ამავე სოფელშია ძველი, სიამაყეშერჩენილი გიორგი საკაკისეული ციხე-სიმაგრე. ამ სძველეთა გვერდით თვალს ახარებს ნიჩბისის საშუალო სკოლის შენობა. არ გეგონოთ, ნიჩბისი ერთია! ძველ თავადებს სანებივრეროდ და სალაღობოდ მეორე ნიჩბისიც დაუწესებიათ და იქ საზაფხულო სასახლე აუგიათ.

აი ამ ნიჩბისის მკვიდრთ მრავალი წლის განმავლობაში აწუხებდა თავიანთი კოლმეურნეობის ბედი. დღედაღამ შრომობდნენ, მაგრამ ვერა და ვერ გაიმართნენ წელში. მიზეზი ბევრი იყო: უწყლობით გამოფიტული მინდვრები, მოუწყობელი კოლმეურნეობა და ორგანიზატორულ უნარსა და ნიჭს მოკლებული ხელმძღვანელი. მათს მინდვრებს სახელწოდებაც ზედგამოჭრილი აქვთ — ოხერა. თუმცა, თუ გერგილანად მოჰკიდებ ხელს, თურმე ოხერასაც მოუკავ წყურვილს, კოლმეურნეობას წინ წასწევ, დოვლათს შესძენ.

...1960 წელს შედგა თიანეთის რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შეკრება. კრების მონაწილეებმა მცხეთის რაიონში შემავალი კოლმეურნეობები რომ დაათვალიერეს, პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და შრომის ორგანიზაციის დარგში სოფელ მისაქციელის კოლმეურნეობას იმდენი საუკეთესო მაჩვენებელი აღმოაჩნდა, რომ პირველი ადგილი მიაკუთვნეს. მაშინ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ მიქელაშვილი იყო.

როდესაც მისაქციელის, ნატახტრის და ახალდაბის კოლმეურნეობათა ბაზაზე მეგობსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, ნიკოლოზი პატრონად ჩაუდგა ამ ახალგაზრდა, ფეხმოკიდებულ, ოჯახიან ბიჭს. ეს ბიჭი ბევრ ადგილზე ბევრ ადამიანს ეგონა, ბევრ ადგილზე ბევრ ადამიანს ეგონა, ბევრ ადგილზე ბევრ ადამიანს ეგონა,

საერთაშორისო
დეკემბერი ცხოვრები ბიბლიოთეკა
ცხოვრება

მსოფლიო ამ დღეებში

შეხვედრა ვარშავაში

ვარშავა, 19 იანვარი. (საკდესი). გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრთან მარიან სპიხალსკისთან მოეწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების შეხვედრა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ა. გრეჩკოს მონაწილეობით, იუწყება პოლონეთის დეპეშათა სააგენტო.

პოლონეთის მარშალმა მარიან სპიხალსკიმ შეხვედრის მონაწილეებს გადასცა „საბრძოლო ძმობის“ ნიშნები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIX სესია

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. (საკდესი). გუშინ 15 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIX სესიამ სამი კვირის შესვენების შემდეგ განაახლა მუშაობა.

დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ბერნუნდის მოკლული პრემიერ-მინისტრის პიერ ნგენანდუმვეს ხსოვნას.

პირველ სხდომაზე გამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი და ასამბლეის თავმჯდომარე კვეისონ-სეკი (განა).

როგორც კვეისონ-სეკიმ განაცხადა, კვირის ბოლომდე პლენარულ სხდომებზე განძრეულდება საერთო პოლიტიკური დისკუსია, ხოლო 25 იანვარს ასამბლეაზე დაიწყება ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილეთა და კომიტეტების თავმჯდომარეთა არჩევნები. ასამბლეა 19 იანვრ[illegible] განაგრძობს მუშაობას.

ნ. ტ. ფედორენკო უ ტანს ეწვია

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს ეწვია და აცნობა, რომ საბჭოთა კავშირი დათანხმდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა აფრიკა-აზიის ჯგუფის 1964 წლის 30 დეკემბრის წინადადებას, რომლის საფუძველზე გენერალურმა ასამბლეამ უნდა განაგრძოს თავიანი მუშაობა ჩვეულებრივი პროცედურის შესაბამისად.

პარტიზანები უნდა გაათავისუფლონ!

რომი, 18 იანვარი. (საკდესი). ბევრ პარტიზანს, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობის წლებში ჰიტლერელთა და იტალიელ ფაშისტთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, ომის შედეგად... მსჯავრი დაადეს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის, რომლებიც იტალიის სასამართლომ „უკანონოდ“ მიიჩნია. ანტიფაშისტური მოძრაობის ზოგიერთი ვეტერანი 15-16 წელია სატუსაღოში იმყოფება და იტალიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა დაუცხრომლად იბრძვის მათი განთავისუფლებისათვის. ქალაქ სიენაში გაიმართა იტალიელ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის კონფერენცია, რომელმაც მიიღო მიმართვა რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი.

ლუმუმგას ხსოვნისათვის

ბრაზავილი, 18 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა სახალხო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა პატრის ლუმუმას მხეცური მკვლელობის მეოთხე წლისთავს. მიტინგი მოაწყო მმართველი პარტიის — ეროვნული რევოლუციის მოძრაობის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ. კონგოს სახალხო გმირის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდა ათასობით ბრაზავილელი — ქალი თუ კაცი, რომლებიც ეროვნულ კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილი. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფკავშირების ეროვნული ხელმძღვანელებმა და აქტივისტებმა.

მთავარია კომუნისტური მოძრაობის ერთობა

მოსკოვი, 18 იანვარი. (საკდესი). აქ მიღებულია ლათინური ამერიკის კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა თათბირის კომუნიკეს ტექსტი. თათბირი გასულ წლის დამლევს მოწყდა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ თათბირზე გაიმართა „გამოცდილების სასარგებლო ურთიერთგაზიარება, რაც კონტინენტის ყველა ხალხმა შეიძინა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.

ლათინური ამერიკის კომუნისტთა წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება დუთმეს კუბის ხალხთან და მის მთავრობასთან სოლიდარობის საკითხებს. კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ თათბირის გადაწყვეტილებებში ნათქვამია: საჭიროა მთელ კონტინენტზე „კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ კუბასთან სოლიდარობის მოძრაობა, მივცეთ ამ მოძრაობას უფრო გადამჭრელი და ორგანიზებული ხასიათი“.

თათბირმა მიიღო შემდეგი რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერას იმპერიალიზმის წინააღმდეგ: აქტიურად დავუჭიროთ მხარი იმათ, ვის მიმართაც მკაცრ რეპრესიებს იყენებენ — ვენესუელელ, კოლუმბიელ, გვატემალელ, ჰონდურასელ, პარაგვაელ, გაიტელ მებრძოლებს; კონტინენტზე ფართოდ გავშალოთ მოძრაობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, გადაჭრით დავუჭიროთ მხარი კოლონიების ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის; მთელი კონტინენტის მასშტაბით მოვაწყოთ ყველა ლათინურამერიკელი ხალხის სოლიდარობის აქტიური მოძრაობა ვენესუელელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი. გავაძლიეროთ სოლიდარობის მოძრაობა პანამელი ხალხისადმი, რომელიც ძნელ პირობებში ბრძოლას ეწევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ; გავაქტიუროთ კამპანია კომუნისტური ხელმძღვანელების განთავისუფლებისათვის, რომლებიც საპყრობილეებში იტანჯებიან.

თათბირმა ყურადღებით განიხილა საკითხები, რომლებიც შეეხება უთანხმოებას, რაც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში წარმოიშვა, და მიიღო რეზოლუცია „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის“. რეზოლუციაში ნათქვამია:

„ლათინური ამერიკის კომუნისტური პარტიები, რომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აქტიურად იბრძოლონ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები და 1957 და 1960 წლების თათბირების პროგრამული დოკუმენტები.

ლათინური ამერიკის კომუნისტურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ ეს ერთობა წარმატების ძირითადი გარანტიაა ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის“.

ლათინური ამერიკის კომუნისტურ პარტიებს, ხაზგასმულია შემდეგ რეზოლუციაში, საჭიროდ მიაჩნიათ გაკაფონ ერთობის გზა, უზრუნველყონ ურთიერთგაგება სოციალისტურ ბანაკში, გვერდი აუარონ ყოველივე იმას, რაც ზრდის გათიშვის საფრთხეს, ხელს უშლის ძმურ და კონსტრუქციულ დისკუსიებს, აძნელებს მოძმე პარტიათა მოქმედებას ერთიანი ფრონტით, რათა დაძლიონ იქნეს ახლანდელი შეუთანხმებლობა, და მთელი თავიანთი ენერგია მოახმარონ ბრძოლას იმპერიალისტებისა და სხვა რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

„თათბირს მიაჩნია, ნათქვამია რეზოლუციაში, რომ უნდა განხორციელდეს გადამჭრელი ღონისძიებანი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით აუცილებლად უნდა მოეწყოს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები ან თათბირები“.

მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა

ვარშავა, 18 იანვარი. (საკდესი). ვარშავის ხელშეკრულების დადების დროიდან განვლილი ათი წელი აღასტურებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მას მონაწილე ქვეყნების საზღვრების უშიშროებისა და ხელშეუხებლობისათვის, სოციალისტურ სახელმწიფოთა იმ მეცადინეობის შეკავშირებისა და განმტკიცებისათვის, რომლის მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა ევროპაში, წერს დღეს სარედაქციო სტატიაში პოლონეთის ჯარების გაზეთი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“. როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სტატია ეძღვნება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომას, რომელიც ხვალ იხსნება ვარშავაში.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული სარდლობისა და ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა, წერს გაზეთი, იყო პასუხი ნატოს აგრესიული გეგმებისა და იმისა, რომ ხულ უფრო მეტი საფრთხე ექმნებოდა მშვიდობას ევროპაში. დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ დღეს ბუნდესვერი გახდა ნატოს მეორე არმია, რომ ყოფილი ჰიტლერელი გენერლები და დამნაშავენი ამ არმიასა და ნატოს შტაბებში ხელმძღვანელ პოსტებზე არიან, ამჟამად კი დასავლეთის სახელმწიფოები ფიქრობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მისცენ თერმოატომური იარაღი. როგორც ცნობილია, პირველი გზა ამ იარაღისაკენ ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნა იქნება.

კომენდანტის საათი გააუქმეს

ყარაჩიში გამოაცხადეს, რომ გაუქმებულია კომენდანტის საათი, რომელიც იანვრის პირველ რიცხვებში იყო შემოღებული უწესრიგობასთან დაკავშირებით, ეს უწესრიგობა გამოიწვიეს ოპოზიციურმა პარტიებმა პაკისტანის პრეზიდენტის გადარჩევის კამპანიის დროს.

ჯოუმგბიელი, *რომელიც უბადრუკ ჭოხში ცხოვრობს ცოლშვილიანად.*

მათ არა აქვთ სახსრები იმისათვის, რომ თავი დაირჩინონ, ფეხსაცმელიც კი ვერ უყიდიათ. უკიდურეს სიღატაკეში არიან.

საკდესის ფოტოქრონიკა

სკანდალი სკანდალს მოსდევს

რომი, 18 იანვარი. (საკდესი). ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში ზედიზედ ხდება დიდი სკანდალები. რამდენიმე დღის წინათ იტალიის პრესა იტყობინებოდა ამ პარტიის აქტიური მოღვაწის ნ. ვენაციის პროცესის შესახებ, რომელიც პასუხისგებაში მისცეს მექრთამეობისათვის. შემდეგ ადგილობრივი გაზეთები წერდნენ იმის შესახებ, თუ როგორ სჩადიოდა თაღლითობას ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ნეაპოლელი ლიდერი კ. გატი, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია, და ბოლოს, დღეს პრესა იტყობინება, რომ დააპატიმრეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ქალაქ პორდენონის (უდინის პროვინცია) ზონალური ორგანიზაციის ყოფილი მდივანი პროფესორი ჯუზეპე პრადელა, რომელმაც იქურდა.

დარეკავს ქამი თავისუფლების!

კარაკასი

რეპორტაჟი საპყრობილედან

კარაკასის დასავლეთ გარეუბანში, რომელიც „პრო პატრიას“ (სამშობლოსათვის) სახელწოდებით არის ცნობილი, აღმართულა მოდელოს საპყრობილის კორპუსები. ამ საპყრობილეში 154 პოლიტიკური პატიმარია. მე მოვახერხე საპატიმროში შესვლა და შევხვდი ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ლუის ემირო არიტასა და ეტორ როდრიგეს ბაუსს, ვენესუელის მშრომელთა ერთიანი ცენტრის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის წევრს ხესუს ჩავესსა და კომპარტიის ფედერალური ოლქის ადგილობრივი კომიტეტის ექიმს რინო მელიანოს.

„ყოველ ღამით პატარა რადიომიმღებით ვუსმენ მოსკოვის რადიოს და რადიოსადგურ „პროგრესის“ გადაცემებს, — თქვა ლუის ემირო არიტამ, — ამრიგად მე ვგებულობ ჩემს ქვეყანაში მოამხდარ ბევრ ამბავს, რაზედაც დუმს ადგილობრივი პრესა. ასე შევიტყვე, რომ სსრ კავშირის მეთაურობით დაიწყო ფართო საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც მოითხოვს ვენესუელელი პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას“.

მოდელოს საპყრობილის პატიმრებს სწამთ ეროვნული განთავისუფლების საქმის გამარჯვება, რომ მალე ვენესუელელი პატრიოტები დაამარცხებენ რეაქციას და მოიშორებენ იმპერიალისტურ უღელს...

პოლიტიკური პატიმრების ნახვა არც ისეთი ადვილი საქმე გამოდგა. პატიმრთა ასობით ნათესავთან ერთად ხუთი საათის მანძილზე თაკარა მზეში ვიცდიდი საპყრობილის კართან. ბოლოს საპყრობილის ზღურბლი უკან დარჩა. ყველანი გულდასმით გაგვჩხრიკეს — ამოგვიბრუნეს ჯიბეები, გაგვისინჯეს ფეხსაცმელიც კი.

გრძელმა დერეფანმა ეგრეთ წოდებულ „ახალ პავილიონში“ გაგვიყვანა, აქ იმყოფებიან პოლიტიკური პატიმრები. ეს არის სწორკუთხედის ფორმის ეზო, რომელსაც გარს აკრავს მაღალი დახშული კედელი. კიდეებზე დადიან თავით ფეხამდე შეიარაღებული გვარდიელები. საპატიმროში ჩვენი ყოფნის დროს ბევრი მათგანი ავტომატებს უმიზნებდა პატიმრებსა და მათს ნათესავებს.

პატრიოტებს ხშირად ჩხერეკენ. მათ დაწყობენ ხოლმე ეზოში და ქექავენ ლეიბებს, საწოლებს, მაგიდებს, ათვალიერებენ სკამებს. ამას წინათ ჩხრეკა წარმოებდა დღეში სამჯერ. აკრძალულია პოლიტიკური ლიტერატურის შეტანა.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, პატიმრები კარგად არიან ორგანიზებული, აქ ისინი სწავლობენ ისტორიას, ლიტერატურას, ეკონომიკას, უცხო ენებსა და მარქსიზმ-ლენინიზმსაც კი.

ზარმა, რომელიც მთელ საპყრობილეში გაისმა, გვაუწყა ნახვის დამთავრების ამბავი. გამოვეთხოვეთ ამხანაგებს. ისინი კვლავ გვთხოვენ გადავცეთ საბჭოთა ადამიანებს სალამი, და ის, რომ აღტაცებულნი არიან დიდი ლენინის სამშობლოთი. „საკდესის საშუალებით გადაეცით ჩვენი მხურვალე მისალმება ძვირფას საბჭოთა ამხანაგებს“ — ამბობენ პატიმრები.

საპყრობილის გამოსასვლელთან კვლავ რიგია და გვითვალთვალებენ შეიარაღებული გვარდიელები და პოლიციის მთავარი სამმართველოს აგენტები. პატიმრები გადათვალეს, გადის საათი, რიგი ნელნელა ადგილიდან იძვრება. საპყრობილის ოდნავ გაღებულ კარში რიგ-რიგად გადიან მნახველები.

საპყრობილეში დარჩნენ ავტომატიანი მცველები და 154 პატიმარი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათთვის და მთელი ვენესუელისათვის მალე დარეკავს ყამი განთავისუფლებისა.

სერვანდო ბარისა პონსე,
საკდესის კორესპონდენტი.
კარაკასი.

სოციალისტურ ქვეყნებში

☐ უნგრელ მეგობრებთან ☐ დიდი მანიფესტაცია ☐ ამუშავდა ფაბრიკა ☐ ახალი საწარმოები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბუდაპეშტი. აქ გამოქვეყნდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის 1964 წლის სასახლო-სამეურნეო გეგმა შესრულებულია.

წინასწარი მონაცემებით, ეროვნული შემოსავალი აღემატება 1963 წლის დონეს 4 პროცენტითა და მეტით. სოციალისტურმა მრეწველობამ 3,1 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა; წინა წელთან შედარებით მრეწველობის წარმოების მოცულობა გადიდდა 8,9 პროცენტით.

1963 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა გადიდდა ორი პროცენტით. მარცვლეული მოწეულია 34 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს. ეს რაოდენობა საკმარისია უნგრეთის წლიური მოხმარების უზრუნველყოფისათვის.

1964 წელს, წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი გადიდდა 2,5-3 პროცენტით, ხოლო რეალური შემოსავალი და გლეხთა მოხმარება გადიდდა დაახლოებით 4-5 პროცენტით.

ვარშავა. „ნურასდროს ნუ იქნება ომი, ნურასდროს ნუ იქნება ფაშიზმი!“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა ლოძის ყოფილი სიკვდილის ბანაკის ტერიტორიაზე დიდი მანიფესტაცია.

ქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო გამართულ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა არმიის წარმომადგენლებმა — საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ი. კრასინოვმა და საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ა. ბოჩკოვსკიმ.

ბუქარესტი. ბაკეუში ამუშავდა ავეკის ფაბრიკა — ამ ქალაქის გარეუბანში მერქნის დასამუშავებელი კომბინატის პირველი მშენებარე საწარმო. ეს ფაბრიკა გამოუშვებს 15 ათას ავეკის გარნიტურს წელიწადში.

ამჟამად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში შენდება მთელი რიგი დიდი კომბინატები, კერძოდ, კელერაშისა და დეუეს ცელულოზა-ქაღალდის კომბინატები, ტურნუ-სევერინის მერქნის დასამუშავებელი კომბინატი.

ჰანოი. გასულ წელს აშენდა ან გაფართოვდა 65 სამრეწველო ობიექტი, მათ შორის 20 მექანიკური და სარემონტო საწარმო, 5 ელექტროსადგური, ქიმიური სასუქის 3 ქარხანა, მსუბუქი მრეწველობის 22 საწარმო. აშენდა აგრეთვე 152 სხვა ობიექტი.

უნდა დაისაჯონ დამნაშავენი

ბონი, 18 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის იუსტიციის მინისტრის ბუჰერის გამოსვლამ, რომელმაც გაალაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ გაგრძელდეს ნაცისტ დამნაშავეთა დასჯის 20 წლის „ხანდაზმულობის ვადა“, რომელიც მიმდინარე წლის მაისში მთავრდება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, დასავლეთ გერმანიაში გრძელდება საპროტესტო მოძრაობა ბონის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ მოახდინოს სამხედრო დანაშაულში გარეული ყოფილი ჰიტლერელების ამნისტია. 20 წლიდან 30 წლამდე ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას მხარი დაუჭირა, მიუხედავად მრავალ მეტოქეობისა, ბონის ფრანკფურტში გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვეტეს ღია საპროტესტო წერილი გაეგზავნათ ბუნდესტაგის ყველა დეპუტატისათვის.

გაზეთმა „ნოიე რაინეიტუნგმა“ ბონის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების განზრახვამ შეწყვეტონ „მასობრივ დანაშაულებათა მონაწილეების სასამართლო დევნა, აღშფოთება გამოიწვია მთელს მსოფლიოში. გაზეთს იუსტიციის მინისტრის ბუჰერის განცხადება უტაქტობად მიაჩნია.

ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ა. ქ. ხუმარიანის დაბადების 90 წლისთავის გამო

ალექსანდრე (ასოტ) ქრისტეფორესძე ხუმარიანი ბოლშევიკური გვარდიის ვეტერანთა იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც თავანთი მოღვაწეობა დაიწყეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის მთელ რიგ დავალებებს ტექნიკის დარგში.

ა. ხუმარიანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის პირველი ყრილობის მონაწილეა (1903 წლის მარტი). ამ ყრილობაზე იგი აირჩიეს კავშირის ორგანოს — გაზეთ „პროლეტარატის ბრძოლის“ რედაქციის შემადგენლობაში. ყრილობის შემდეგ იგი გადადის ბაქოში. ვ. სტურუასთან, ა. ენუქიძესთან, ს. თოდრიასთან და სხვებთან ერთად ა. ხუმარიანი „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირს“, აწყობს არალეგალურ სტამბას, რომელშიც იბეჭდება გაზეთი „პროლეტარიატი“, ასრულებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის მთელ რიგ დავალებებს ტექნიკის დარგში.

ა. ხუმარიანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის პირველი ყრილობის მონაწილეა (1903 წლის მარტი). ამ ყრილობაზე იგი აირჩიეს კავშირის ორგანოს — გაზეთ „პროლეტარატის ბრძოლის“ რედაქციის შემადგენლობაში. ყრილობის შემდეგ იგი გადადის ბაქოში. ვ. სტურუასთან, ა. ენუქიძესთან, ს. თოდრიასთან და სხვებთან ერთად ა. ხუმარიანი „კაიცის“ („ნაპერწკალი“ 1906 წლის აპრილი-აგვისტო), „ნორ ხოსკის“ (ახალი სიტყვა“, 1906 წლის აგვისტო-სექტემბერი) გამოცემაში. როგორც ტექნიკის ოსტატი, ა. ხუმარიანი ხელმძღვანელობს სტამბასა და ბეჭდვას. იგი გაზეთ „ნორ ხოსკის“ ნომინალური რედაქტორია და როცა ხელისუფლებმა გაზეთი დახურეს, ა. ხუმარიანი, როგორც „საზოგადოების უაღრესად მავნე წევრი“ დააპატიმრეს. თბილისისა და ვოლოგდის საპყრობილეებში ყოფნის შემდეგ იგი 5 წლით დადასახლეს ვოლოგდის გუბერნიის ქალაქ ველსკში.

1907 წლის თებერვალში ხუმარიანი გადასახლებიდან გამოიქცა და ჩავიდა ბაქოში, სადაც არალეგალური პასპორტით ცხოვრობდა და ეწევოდა პარტიულ მუშაობას. ვ. სტურუასთან და ზ. ჩოდრიშვილთან ერთად იგი მუშაობდა არალეგალურ პარტიულ სტამბაში, მაგრამ პროვოკატორმა იგი გასცა და 1909 წლის აგვისტოში ხუმარიანი კვლავ დაუპატიმრეს, ხოლო 9 თვის შემდეგ გაუსამართლებლად ხუთი წლით გადასახლეს ასტრახანში. ასტრახანის მახლობლად გადასახლებაში იყო ფ. მახარაძეც, თვით ასტრახანში კი ნ. ნარიმანოვი, შ. ელიავა, მალე ჩამოვიდა ს. შაუმიანი და მთელი რიგი სხვა ბაქოელი ბოლშევიკები. ფული რომ ეშოვნა, ა. ხუმარიანი ამწყობად მუშაობდა ტერძო სტამბაში, ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ა. ხუმარიანი ასტრახანში შეხვდა. ამ მხარის სხვა პარტიულ მოღვაწეებთან ერთად იგი ენერგიულ მუშაობას ეწევა მენშევიკებთან გამიჯვნისა-თვის, მასებში ბოლშევიკების გავლენის გაზრდისათვის. როცა 1917 წლის აგვისტოში ასტრახანში შეიქმნა დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია, ა. ხუმარიანი აირჩიეს ბიუროს შემადგენლობაში, იგი შეეიდა აგრეთვე მუშებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმში, დიდ მუშაობას ეწევოდა ბოლშევიკური გაზეთის „ასტრახანსკი რაბოჩის“ რედაქტირებისათვის.

1918 წლის იანვარში ა. ხუმარიანი დაამტკიცეს ასტრახანის მხარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, ამავე დროს ის იყო შინაგან საქმეთა კომისარი. ამ ძირითადი საქმიანობის გარდა იგი პრესის საქმეთა კომისარია, რედაქტორობს გაზეთ „კომუნისტს“, არის ვოლგისპირეთის სამხრეთში სომხურ საქმეთა კომიტეტის საგანგებო რწმუნებული, შემდეგ კი ერთხანს მუშაობს ასტრახანის გუბერნიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ. ძირითადად ა. ხუმარიანის საშუალებით ხორციელდებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს კავშირი ბაქოს კომუნასთან. ზაფხულში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ა. ხუმარიანი წავიდა ბაქოში. აქ დაწვრილებით გაეცნო მდგომარეობას და ს. შაუმიანის წერილით გაემზავრა მოსკოვს ვ. ი. ლენინთან.

1918 წლის დამლევს, როცა ვოლგისპირეთის სამხრეთში მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის მითითებით ასტრახანში ს. მ. კიროვი ჩავიდა, ა. ხუმარიანი გ. ათარბეგოვთან და სხვებთან ერთად დიდ დახმარებას უწევს მას ქალაქის თავდაცვის ორგანიზაციაში. 1919 წელს ა. ხუმარიანს უკავია სურსათეს კომისრის პასუხსაგები პოსტი, ამავე დროს პარტიის ასტრახანის გუბერნიის კომიტეტის წევრია.

1921 წლის ივლისში ა. ხუმარიანი 15 წლის შემდეგ ბრუნდება თბილისში რუსეთის სფსრ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად კავკასიის განსაკუთრებულ არჩიაში. შემდეგ იყო ამიერკავკასიის სფსრ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, ხოლო 1925 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სფსრ მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ.

1921 წელს ა. ხუმარიანი აირჩიეს პარტიის რიგების წმენდის კომისიის შემადგენლობაში. იგი იყო ამიერკავკასიის ყველა პარტიული ყრილობის დელეგატი, საკ. კ(ბ) ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი.

1928 წელს ა. ხუმარიანი დანიშნეს ამიერკავკასიის სფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

დიდ პარტიულ სახელმწიფო მოღვაწეობასთან ერთად ა. ხუმარიანი მუშაობდა ჟურნალისტიკაში. 1923-1927 წლებში იგი გაზეთ „მარტაკოჩის“ ერთ-ერთი რედაქტორია, აქტიურად თანამშრომლობს ამიერკავკასიის გაზეთებსა და ჟურნალებში, დაუცხრომლად მუშაობს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

1932 წელს, ამიერკავკასიის ფედერაციის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, სოციალისტური მშენებლობისა და სამეურნეო-პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად, ამიერკავკასიის ფედერაციის წინაშე ხუმარიანი დაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

1937 წელს იგი ცილისწამების მსხვერპლი გახდა. დაიღუპა ერთგული ლენინელი, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა პარტიის საქმეს, იბრძოდა ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ა. ᲒᲣᲙᲐᲡᲘᲐᲜᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ

საზღვარგარეთის გაზეთებში ცენტრალური თემაა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა, რომელიც პოლონეთის დედაქალაქში მიმდინარეობს. ბევრი გაზეთი აგვიწერს, თუ როგორ წარმოიშვა და რა ამოცანებს ისახავს ეს ხელშეკრულება, რომელსაც დემოკრატიული, პროგრესული პრესა ხალხთა უშიშროების საიმედო ფარს უწოდებს. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისადმი მიძღვნილ ცნობებსა და კომენტარს პრესა თვალსაჩინო ადგილას ათავსებს.

გაზეთები ფართოდ აშუქებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას იმ უგუნური გეგმების გამო, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უშუალოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ახლოს აპირებენ „ატომური ნაღმების სარტყლის“ შექმნას.

ვარშავის ყველა გაზეთი ათავსებს ანგარიშს პოლონეთის საწარმოებში გაძარცული მასობრივი მიტინგების შესახებ, რომლებზეც მშრომელნი პროტესტს აცხადებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დევნის შეწყვეტის წინააღმდეგ. „ეს მარტო გერმანელი ხალხის საშინაო საკითხი როდია, — წერს „ეიცე ვარშავი“.—ფაშიზმის ბოროტმოქმედებანი მიმართული იყო კაცობრიობის წინააღმდეგ და ამ ბოროტმოქმედებებისათვის დასჯის საკითხი ადამიანის ღირსების დაცვისა და ელემენტარული სამართლიანობისადმი რწმენის საკითხია“.

პარიზის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ გენერალ დე გოლისა და კანცლერ ერჰარდის შეხვედრას, რომელიც დღეს მოხდება. „ფიგარო“ ხაზს უსვამს ბონის მისწრაფებას მონაწილეობა მიიღოს ყოველ „ატომურ სისტემაში“. გაცხოველებით განიხილავს ამ შეხვედრას დასავლეთ გერმანიის პრესა. როგორც „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღნიშნავს, ეს ვიზიტი, მიუხედავად იმისა, რომ რაინზე გულდასმით მოემზადნენ, [illegible] ვითარებაში [illegible] ხარეს ყოვლისა „ამერიკის შეერთებული შტატების [illegible] ის [illegible]

„გენერალ-ანციაგერი“ ხაზს უსვამს, რომ ერჰარდის გამგზავრება პარიზში სრულიადაც არ მოასწავებს, რომ დასავლეთი გერმანია უარს ამბობს ნატოს მრავალმხრივ რაკეტულ-ატომურ ძალებში მონაწილეობაზე.

გაზეთ „ოროროს“, რომელიც განიხილავს პარიზისა და ბონის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს, მიაჩნია, რომ „არ უნდა მოველოდეთ რაიმე განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებს — პრობლემები ძალზე ბევრი და რთულია“. ამავე თემას ეძღვნება მიდლტონის სტატია „ნიუ-იორკ ტაიმსში“.

ჩერჩილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ლონდონის პრესის მთავარი თემაა. „დეილი ტელეგრაფსა“ და „გარდიანს“ მიაჩნიათ, რომ ჩერჩილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი ვილსონი გადადებს ბონში გამგზავრებას.

ნიუ-იორკის გაზეთებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პრეზიდენტ ჯონსონის წერილს კონგრესისადმი თავდაცვის საკითხებზე. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიას, რომელმაც განაახლა მუშაობა.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი იუწყება ლეოპოლდვ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

საქართველოს ატლასი

ეს ატლასი ჩვენს წიგნის სამყაროს და ეი მიიღო. რუკისა და სივრცეების ენითაც აუდერდა ჩვენი მადლიანი, მრავალფერადი ქვეყანა, მისი მრავალმხრივი მეცნიერული კვლევის შედეგები. ჩვენ გვაქვს საქართველოს ატლასი, რესპუბლიკის პირველი კარტოგრაფიული ენციკლოპედია. ამიერიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი რესპუბლიკა „კარტოგრაფიული სიმწიფის" პერიოდშიც შევიდა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა, ქვეყნის გეოგრაფიულ გამოკვლევათა განვლილი პერიოდის შეჯამება და ახალ მეცნიერულ შემართებათა დასაწყისია. საქართველოს სსრ ატლასის შექმნა ქართული გეოგრაფიული კარტოგრაფიის გვირგვინია. აქ არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიგონოთ პირველი ქართველი გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც ჩვენამდე ორი საუკუნით ადრე იმდროინდელი ქართული გეოგრაფია და კარტოგრაფია დაფნის გვირგვინით შეამკო. დაგვიტოვა თავისი დროისათვის განსაცვიფრებლად მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სამშობლოს გეოგრაფიული აღწერა და ორი ატლასი — ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ ცოდნათა უშრეტი წყარო.

თანამედროვე პირობებში გეოგრაფიულ კვლევას მეტისმეტად ღრმა მიზანსწრაფული შინაარსი მიეკვა. ყოველივე ამან განაპირობა თემატიკური კარტოგრაფიის განვითარება და ეგრეთწოდებული კომპლექსური ატლასების შექმნის საჭიროება. ქვეყნის ასეთი თემატიკური კარტოგრაფირების გზით იქმნება კარტოგრაფიული დოკუმენტაცია იმისა, თუ რას წარმოადგენს ქვეყანა გარკვეულ ეპოქაში, მისი ყოველმხრივი კვლევის არსებული დონის თვალსაზრისით. მსოფლიო კარტოგრაფიულ ლიტერატურაში ნებისმიერი ქვეყნის კომპლექსური ატლასს ეროვნული ატლასი ეწოდება. მისი შექმნის საქმეს უველგან მეცნიერებათა აკადემია ხელმძღვანელობს. ჩვენი ატლასიც საქართველოს

სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირმშოა.

იმის გამო, რომ ეროვნულ ატლასებს მეცნიერების განვითარებისა და პროგრესისათვის საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს, ისინი საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის სისტემატური ზრუნვისა და მეთვალყურეობის სფეროში ექცევა. 1956 წელს, რიო-დე-ჟანეიროში, XVIII საერთაშორისო გეოგრაფიულ კონგრესზე შეიქმნა ეროვნული ატლასების საერთაშორისო კომისია. მისი თავმჯდომარეა ცნობილი საბჭოთა მეცნიერი პროფ. კ. სალიშჩევი, ჩვენი ატლასის გამოსვლა ამ კომისიის ყურადღებითა და ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

საბჭოთა საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მეტად მრავალფეროვანი და კონტრასტებით აღსავსე ბუნებით ხასიათდება. მისი სიმდიდრეები, მოსახლეობა, მეურნეობა, კულტურული ცხოვრება და ისტორია ატლასის 269 გვერდზე განლაგებული სხვადასხვა თემატიკის რუკებისა და განმარტებითი ტექსტების, დიაგრამებისა და გრაფიკების სახით არის წარმოდგენილი.

ყოველი თემატიკური რუკა სპეციალურ გამოკვლევათა შედეგს ასახავს. ატლასის ავტორთა კოლექტივი 79 მაღალკვალიფიციური სპეციალისტისაგან შედგება; მათ გარდა ატლასის შედგენა-გამოცემაში მონაწილეობა მიიღო 35 სპეციალისტმა, როგორც სამეცნიერო რეცენზენტმა.

ატლასის შექმნას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა სარედაქციო კოლეგია აკადემიკოს გ. ძოწენიძის თავმჯდომარეობით და სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. ეს დიდი კოლექტიური მუშაობა განახორციელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა (დირექტორი აკადემიკოსი თ. დავითაია).

ატლასის შექმნაში მონაწილეობა მიიღო ავტორთა 25-მა სხვა სამეცნიერო დაწესებულებამ და უწყებამ. დაინტერესებული მკითხველი ატლასის წინასიტყვაობაში იპოვნის ავტორთა და რეცენზენტთა მთელ კოლექტივს, აგრეთვე სხვა მონაწილეებსა და დაწესებულებებს.

ატლასის შექმნა დიდი ეროვნული საქმეა. მას ხუთი წლის დაძაბული სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნიკური შრომა დასჭირდა. ატლასის შექმნის პირველ ცდას ჩვენს რესპუბლიკაში დიდი სიძნელეები ახლდა, ამიტომ უთუოდ ნაკლიც ექნება, მაგრამ როგორიც უნდა იყოს ნაკლი, ეს ნაშრომი მაინც უნიკალურ სამეცნიერო-საცნობარო კარტოგრაფიულ ნაწარმოებად რჩება და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი პლანეტის კარტოგრაფიულ საგანძურის ოქროს ფონდში.

ალ. ასლანიკაშვილი,
დოცენტი, საქართველოს სსრ ატლასის პასუხისმგებელი სამეცნიერო რედაქტორის მოადგილე.

სიახლეთა დაბადება

● **კუთაისის** აბრეშუმის კომბინატის ფეიერვერკმა კარგი საჩუქარი მიიღეს — პლეხანოვის ქუჩაზე, კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში გაიხსნა დიდი კეთილმოწყობილი სასურსათო მაღაზია.

ვ. ბოჰორიშვილი.

● **ამ დღეებში** ონის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ სახლებს კიდევ ერთი თორმეტბინიანი საერთო საცხოვრებელი შენობა შეემატა.

დ. ხაზიაშვილი.

ახლა, როცა ზამთარმა, ყინვამ და უამინდობამ თავი შეგვაბეზრა, სასიამოვნოა ზღვაზე და მზის ბაბანებზე ფიქრი... ამ სურათზე ასახულია კურორტ გაგრის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ს. კილაძისა.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

კონტრაქტს ვადა გაუგრძელდება

„ავლანეთის ოლიმპიური დეპარტამენტი კმაყოფილია ჰიდაობაში მწვრთნელის — საბჭოთა სპეციალისტ შ. ნიშარაძის სანაქებო მუშაობით და გთხოვთ ნება მოგვცეთ გაუგრძელოთ მას კონტრაქტის ვადა წინანდელ პირობებში კიდევ ერთი წლით ამ კონტრაქტის ვადის დამთავრებიდან.

პატივისცემით

მოჰამედ ფარუკ სარაჯი,
ავღანეთის ოლიმპიური დეპარტამენტის პრეზიდენტი".

— ასეთი წერილები, — აცნობეს ჩვენს მოსკოველ კორესპონდენტს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოში, — ძალიან ბევრი მოგვდის. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭოთა სპეციალისტები ნაყოფიერად მუშაობდნენ 1964 წელს სახლვარგარეთის 20-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის იუგოსლავიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, კუბაში, მონღოლეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ტაილანდში.

სპორტულ წარგზავნილთა შორის მოსკოველებიც არიან. ავღანეთში შოთა სერგეი-ძე ნიკარაძესთან ერთად, რომლის შრომაც აღნიშნულია ავღანეთის მეფის პირადი ჯილდოთი, მუშაობს მწვრთნელი მძლეოსნობაში გ. ა. გოლოვეზნინი. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ისურვა, რომ იქ ტანვარჯიშში დამრიგებლად ჰყავდეთ საბჭოთა სპეციალისტი მოსკოველი ა. პ. ბოგომოლოვი, რომელთანაც დადებულ კონტრაქტს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თხოვნით ვადა გაუგრძელდა კიდევ ერთი წლით.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოში კვლავ მოდის საზღვარგარეთიდან წერილები, რომლებშიც გვთხოვენ გავგზავნოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭოთა სპეციალისტები პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

სპორტული ქრონიკა

▲ **საბჭოთა** მძლეოსნებს ახალ სეზონში მრავალი პასუხსაგები შეხვედრები მოელით. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში, ამასთანავე თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევიან დიდ ტურნირში მონაწილეობისათვის და სხვ. ამ ასპარეზობებს წინ უძღვის მოსამზადებელი პერიოდი. მაგალითად, ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ა. მიხაილოვმა 110 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა დრო 14,1 წამი, 100 მეტრი ვ. კუნარევმა გაიმბინა 10,3 წამში.

▲ **სსრ კავშირის** ფრენბურთის ფედერაციამ გასული სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 24 საუკეთესო ფრენბურთელისა და 10 მსაჯის სია. ფრენბურთელთა სიაში ყველაზე მეტი წარმომადგენლობა (6 სპორტსმენი) ყავს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს. უძლიერესთა რიგებში თბილისიდან შეიყვანა „ბურევესტნიკის" მთავამაში ვ. კაკარაკა. საქართველოდან ათ საუკეთესო მსაჯთა სიაში შეყვანილია თ. ყანჩაველი.

მოახლოებული ფინიში

კიევის საკავშირო საქალაქო ჩემპიონატის მონაწილეები ფინიშს უახლოვდებიან. გუშინ გაიმართა მეთხუთმეტე ტური.

გათამაშების ლიდერმა გროსმაისტერმა კორჩნოიმ ტემპს უმატა. მან სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა, დაამარცხა პეტერსონი. წარმატებით იბრძოდა აგრეთვე გროსმაისტერი ბრონშტეინი, რომელმაც დებიუტიდან აქტიური პოზიცია მიიღო ბოლოდროინდელ ანატოლი თაკის სასარგებლოდ დაამთავრა. სუეტინმა მოუგო ბაკულინს.

ლიაუდანსკი-კროგიუსის, ოსნოს-ბორისენკოსა და ბანიკ-ლუტიკოვის პარტიები ყაიმით დამთავრდ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ვ. **კორჩნოის** 11,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, **დ. ბრონშტეინს** — 10,5 ქულა, **ლ. შტეინს** — 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

კომუნისტი

„ტორპედო" ემზადება

ჯერ კიდევ რჩება მომქანცველი მოლოდინის პერიოდი, ვიდრე აღმართავდნენ ფეხბურთში XXVII საკავშირო ჩემპიონატის ალამს, მაგრამ სპორტული ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი მოვლენისათვის მზადება კარგახანია დაიწყო. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ წვრთნას შეუდგნენ თბილისის „დინამოს", მოსკოვის „ტორპედოს" და „სპარტაკის", ლენინგრადის „ზენიტისა" და „ა" კლასის სხვა კოლექტივები.

ამ გუნდებში არის ზოგიერთი სიახლენი. აი რას გვიამბობს გასული პირველობის პრიზიორის მოსკოველ „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელი ვ. მარიენკო:

— მომავალი ჩემპიონატი მძაფრი იქნება. შეუპოვარი ბრძოლები მოელით ჩემპიონსა და პრიზიორებს, მათ შორის ჩვენც. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვემზადებით, ან რა რეზერვი გვეყოლება. ახალმოსულებიდან პირველ რიგში ბიდან ბიანეფი, ბორკოვი, ბოგდანოვი, ბოგოლიუბოვი, ბოგატიროვი, ბოგოლეპოვი, ბ-ბ-ბ... ეს ბ-ბ-ბ ალბათ ბედნიერ ასოა ჩემთვის. ბ-ბ-ბ-ით ბ-ბ-ბ-ს ბ-ბ-ბ-ზე